საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაჭკაჭი

კაჭკაჭი (Pica pica), ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა, ყორნისებრთა ოჯახისა. სხეულის სიგრძე 45–48 სმ, მასა 250 გ. ფერად შავთეთრია; აქვს გრძელი, საფეხურისებრი ბოლო. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდ. აფრიკაში, ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება კ-ის ქვესახეობა – აღმოსავლეთევროპული კ. (Pica pica fennorum). აღმ. საქართველოში იგი მობინადრეა, დას. საქართველოს ზოგ ადგილას – მოზამთრე. ბინადრობს ბუჩქნარებსა და ტყისპირებში, ჭალებში; ბუდეს იკეთებს ხეზე. საზრდოობს მცენარეული და ცხოველური საკვებით. ანადგურებს მავნე მწერებს. ბოლო წლებში შეიმჩნევა მათი რიცხოვნობის ზრდა.